ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 255

ქალაქი ქუთაისი 12 დეკემბერი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1), ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 დეკემბრის №44-4423340428 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა–ნაგებობა №1-ის (საპირფარეშო, საკადასტრო კოდის №03.01.21.284; შენობა №1-ის ფართობი – 32,35 კვ.მ.), 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების (შეთანხმება №9000008523) საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (14.11.2023 წელი, №008139023) მიხედვით, რომელიც შეადგენს 2 400.00 (ორიათას ოთხასი) ლარს.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — ირაკლი შენგელია

ქ. ქუთაისის საკრებულო
რ ე გ ი ს ტ რ ი
№ 96
12 12 2023წ.